პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 126
(3356)

1967 წ.
1
ივლისი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის
23-ე წელი

IV სპარტაკიადა
1967 წ.

ჩემპიონები

ამ სურათებზე თქვენ ხედავთ საქართველოს IV საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონებს. სამივე სპორტსმენი თბილისელია და მათ დედაქალაქის გუნდის წარმატებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს.

ზედა სურათზე აღბეჭდილია ათლეტთა შეჯიბრებაში გამარჯვებული ლ. გუგეშაშვილი ჭოკით ხტომის დროს; შუაში — ც. ჩოლოიაშვილი, რომელმაც ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში. აი, ახლა იგი მორიგი ნახტომისთვის ემზადება; ქვევით — რესპუბლიკის ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე ა. იოაკიმიდი, რომელიც ჩემპიონი გახდა 400 და 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში, აგრეთვე, ამავე სტილით 4×200 მეტრზე ესტაფეტაში.

ფოტო ო. გელაშვილისა.



ახალი ამბები

● კიოლნი, 29 ივნისი. მძლეოსანთა აქ გამართული ასპარეზობის „ეპიცენტრად" ჭოკით მხტომელთა სექტორი იქცა. წლეულს ევროპაში პირველად ხუთმა ათლეტმა დაძლია ხუთმეტრიანი ზღუდე. გაიმარჯვა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ქ. პაპანიკოლაუმ (საბერძნეთი) — 520 სმ. II ადგილზეა ფრანგი ე. დ'ანკოსი — 510 სმ. 800 მეტრზე ქალთა რბენის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო შედეგი მოიპოვა კ. კესლერმა (გფრ) — 2.03,6. მსოფლიოს რეკორდსმენმა, უნგრელმა დ. ჟივოცკიმ ურო 67,68 მეტრზე ტყორცნა.

● ნაირობი, 30 ივნისი. **აფრიკის ახალი რეკორდი დაამყარა 1 მილზე რბენაში ცნობილმა კენიელმა მძლეოსანმა კ. კეინომ — 3.55,6. სპეციალისტები ირწმუნებიან, კეინო რომ „მექსიკურ სიმაღლეზე" არ ყოფილიყო (ნაირობი 2000 მეტრზეა ზღვის დონიდან), მაშინ იგი ამერიკელი რაიანის ამასწინანდელ მსოფლიო რეკორდს (3.51,1) მოხსნიდაო.**

● ბოლცანო, 30 ივნისი ასუჯრიანი შაშის საბჭოთა დიდოსტატები ა. ანდრეიკო, ვ. შჩოგოლევი და საერთაშორისო ოსტატი ვ. კაპლანი გამარჯვებული გამოვიდნენ ევროპის I გუნდურ ჩემპიონატში. ბოლო, VI ტურში მათ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიელები და 12 ქულა მოაგროვეს. საუკეთესონი იყვნენ საბჭოთა მოშაშეები პირად ჩათვლაშიც. 8-8 ქულა მოაგროვეს ჰოლანდიელებმა და ფრანგებმა, მაგრამ II ადგილი ჰოლანდიელებს მიეკუთვნათ, ვინაიდან მათ მოუგეს ფრანგებს. ჩემპიონატში მონაწილეობდნენ აგრეთვე იტალიისა და შვეიცარიის მოშაშეები.

● ბუდვა, 30 ივნისი. იუგოსლავიელებთან საჭადრაკო მატჩში საბჭოთა გუნდი ლიდერობს — 28,5:14,5. პირად ჩათვლაშიც საბჭოთა მოჭადრაკეები არიან წინ: დიდოსტატთა შორის — ე. გელერი (5 ქულა 7-დან), ქალებში — ტ. ზატულოვსკაია (4 ქულა და 1 გადადებული პარტია 7-დან), ჭაბუკებში — ა. ლუკინი და თ. გიორგაძე (4-4 ქულა და თითო გადადებული პარტია 7-დან).

„მე ჩამოვედი სხვა რეკორდის დასამყარებლად..."

ჰელსინკი, 29 ივნისი. ფინეთის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე დღეს დამყარდა მსოფლიოს ახალი რეკორდი 800 მეტრზე ქალთა რბენაში (2.01,0). მაგრამ ეს სრულიად შემთხვევით მოხდა. მისმა ავტორმა — დაწყებითი სკოლის მასწავლებელმა, 27 წლის ჯუდი პოლოკმა (ავსტრალია) პირდაპირ თქვა: „მე აქ ჩამოვედი, რათა მსოფლიო რეკორდი დამემყარებინა 400 მეტრზე რბენაში. 800 მეტრი საერთოდ არაა ჩემი დისტანცია..."

უფრო მეტიც: პოლოკი სულაც არ აპირებდა ფინეთში ჩამოსვლას და „მძლეოსანთა მსოფლიო თამაშებში" მონაწილეობას. „მე ვმერყეობდი, — განაცხადა რეკორდსმენმა, — ვინაიდან დიდი ხანია არ მირბენია: ავსტრალიაში სეზონი ხომ სულ სხვა დროსაა, ვინემ ევროპაში. მაგრამ მეგობრებმა მოსვენება არ მომცეს და აი, მეც ჩამოვედი. ბოლო შეჯიბრებაში მარტში გამოვედი — ავსტრალიის ჩემპიონატში 800 მეტრი 2 წუთსა და 4,6 წამში გავირბინე".

...როდესაც ჰელსინკის სტადიონზე დიქტორმა 800 მეტრზე მორბენლები გამოიძახა, სტარტზე მხოლოდ ჯუდი გამოჩნდა. მას მეტოქეები არ აღმოაჩნდა. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ პოლოკს შეუერთდა ევროპის ჩემპიონი, 18 წლის ვ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია).

„მე შევცბი და გულიც კი გამიტეხა იმან, რომ მხოლოდ ჩვენ ორს გვიწევდა სირბილი, — თქვა ჯუდიმ. — მე „შედახორაში" ვარ ნაჩვევი რბენას და ამ დროს თავსაც კარგად ვგრძნობ. თუმცა, ამჯერადაც ყველაფერი კარგად გათავდა (პოლოკმა ინგლისელი ენ პეკერის ძველ მსოფლიო რეკორდს 0,1-წამი ჩამოაჭრა).

ჰელსინკის შემდეგ ჯ. პოლოკი მომავალ კვირას ტურკუში გამოვა, შემდეგ სტოკჰოლმში იასპარეზებს და მხოლოდ ამის მერე — ლოს-ანჟელოსში.

„მე ვფიქრობ, რომ ორ წუთს დავახურდავებ", — უთხრა მან ჟურნალისტებს.

გაზეთ „ჰელსინგინ სანომატის" სპორტულ მიმომხილველს პოლოკის ეს განცხადება სავსებით რეალურად მიაჩნია., კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ცხოვრობს სინ კიმ დანი, რომლის საუკეთესო შედეგი ამ დისტანციაზე უდრის 1 წუთსა და 58 წამს. მაგრამ ეს დრო მსოფლიო რეკორდად არ იქნა დამტკიცებული.

* * *

„მძლეოსანთა მსოფლიო თამაშებში" შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ავსტრალიელმა სტაიერმა რ. კლარკმა: 5 ათას მეტრზე რბენაში მან აჩვენა 13.45,0.

ასევე საუცხოო შედეგი ჰქონდა უნგრელ მ. ნემეტს, რომელმაც ყველას აჯობა შუბის მტყორცნელ ვაჟთა შორის — 83,02 მ.

საქდესი გვატყობინებს

ახალი ამბები

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" კლასი II ჯგუფი

გადაწყვიტა ერთმა გოლმა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 30 ივნისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 1:0 (0:0).

„ლოკომოტივი": ლექავა, იაშვილი, კოპინი, ფრიდმანი, გოგია, ლომიძე, (ჭელიძე), მუმლაძე, მაზიაშვილი, კაიშაური, გავაშელი, კოშკელოვი.

„ტრაქტორი": კრივოვი, კოტოპულო, ვტიურინი, კირილენკო, სტრელცოვი, კირილოვი, დერგაჩი, ჯანშიევი, სილოხინი, პოგორელოვი, ზიენკო.

მსაჯი ე. აზიმ-ზადე (ბაქო).

დუბლიორები — 0:0.

ვერაფერს საქებარს თბილისელთა მიმართ პირველი ტაიმის მიხედვით ვერ ვიტყვით. დაახლოებით ათიოდე წუთი გუნდი რამდენადმე მაინც აქტიურობდა, მერე კი თავდამსხმელებმა თითქმის მთლიანად მიანებეს ბრძოლას თავი და „ჩრდილში" მიიმალნენ. 45 წუთის განმავლობაში „ტრაქტორის" კარში სულ სამჯერ-ოთხჯერ დაარტყეს და ისიც ნახევარმცველებმა. სტუმრები, პირიქით, ცდილობდნენ ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინათ კარში დარტყმისთვის.

ასევე მიმდინარეობდა მეორე ტაიმის დასაწყისიც. ვოლგოგრადელები სარგებლობდნენ მეტოქეთა ინერტულობით. რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა ჯანშიევმა, ხოლო 65-ე წუთზე გოგიამ თავით გამოიტანა ბურთი კარიდან, რომელიც უყურადღებოდ ჰქონდა მიტოვებული ლექავას.

მაგრამ „ლოკომოტივის" თავდასხმის თამაშში მაინც შესამჩნევი იყო გამოცოცხლება. ეს უმთავრესად გავაშელისა და კოშკელოვის გააქტიურების ხარჯზე მოხდა, რომლებიც თუმცა ინდივიდუალური წესით, მაინც ცდილობდნენ მოწინააღმდეგე მცველთა რიგების დაძლევას. სწორედ ასეთი იყო გავაშელის გარღვევა 82-ე წუთზე. მან საუკეთესოდ შეასრულა მთელი რთული მანევრი და ულამაზესი გოლიც გაიტანა.

რ. ჭორიძე.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

ბერლინი, 30 ივნისი. ბერლინის დიდი პრიზი მოიპოვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სპრინტში, თბილისელმა ველოსიპედისტმა ო. ფხაკაძემ. 3 ეტაპის ჯამში II ადგილზეა დ. მორელონი (საფრანგეთი).

IV СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР

ქეთილი იყოს შენი მობრძანება, სპარტაკიადა!

მდინარე მოსკოვის საქცევში გაშლილ სპორტის ქალაქი მალე დიდ ასპარეზობას უმასპინძლებს. ესაა ფინალი სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისა, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავს ეძღვნება. აქ, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის მცირე სპორტულ სარბიელზე გაიმართება სპარტაკიადის შტაბი და პრეს-ცენტრი. აქ მოიყრის თავს ცნობები სპორტული ბრძოლის მსვლელობისა და შედეგებზე. აქედან მიიღებს ინფორმაციებს ქვეყნის ყველა გაზეთი და რადიოკომიტეტი.

— ჩვენს სტადიონზე გაიმართება ფინალური ასპარეზობა მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, კრივში, ცურვაში, წყალბურთსა და ჩოგბურთში, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს ვ. დმიტრიევს ცენტრალური სტადიონის დირექტორმა მ. ბორისოვმა.

„სპორტის დედოფლის" რეზიდენცია დიდი სარბიელი იქნება. სტადიონის მუშაკებმა მონდომებით იმუშავეს, რათა ღირსეულად დახვედროდნენ სტუმარს. ხელახლა მოეწყო სარბენი ბილიკი. მის საფარად გამოყენებულია სპეციალური, ეგრეთწოდებული კლინკერული ნარევი, რომელიც განსაკუთრებული ამინდისათვის საგანგებოდ დამზადებულა.

სახტომი სექტორების ბილიკებისთვის სსრ კავშირში პირველად გამოიყენებენ სინთეზური რეზინის საფარს. სხვათა შორის, თავისთავად იგი ჰგავს ტარტანის ბილიკს, რომელზეც მეხიკოს ოლიმპიადის მონაწილეებს მოუწევთ ასპარეზობა.

ახალი ბილიკი ერთ-ერთმა პირველმა გამოსცადა და მოიწონა ევროპის რეკორდსმენმა ი. ტერ-ოვანესიანმა.

მსაჯები სტარტიდან და ფინიშიდან მთავარ კოლეგიას ინფორმაციებს გადასცემენ მიმღებ-გადამცემი რადიოსადგურის მეშვეობით.

შეკეთდა დიდი სპორტული სარბიელის ტრიბუნებიც, რომელთა საერთო სიგრძე 43 კილომეტრია.

ტანმოვარჯიშეთა და მოკრივეთა განკარგულებაში იქნება სპორტის სასახლე, სადაც შეკეთდა გასახდელები, ტრიბუნები.

საიუბილეო შეჯიბრებებისთვის მზადაა აუზი — წყალბურთელთა და მოცურავეთა სარბიელი.

ჩვენს „ჩოგბურთის ქალაქს" მთელს მოსკოვში საუკეთესო ღია მოედნები აქვს, მაგრამ სპარტაკიადისთვის მზადაა კიდევ ორი კორტი. ხრეშისა და ბეტონის მოედნებზე ყოველგვარ ამინდში შეიძლება თამაში.

სპარტაკიადის დღეებში სტადიონის ტერიტორია დიდ საგამოფენო დარბაზად იქცევა. აქ მოეწყობა ექსპოზიციები „საბჭოთა სპორტი 50 წლის მანძილზე" და „საბჭოთა სპორტი ხელოვნებაში" (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება, ფოტო, ფილატელია).

საქდესი მოგვითხრობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზკულტურული კადრების სამჭედლო გზას ულოცავს თავის აღზრდილებს

კეთილად გევლოთ!

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელთა რიგებს 91 სპეციალისტი შემატა ინსტიტუტმა. უკან დარჩა მღელვარება, შიში... ყველამ წარმატებით გადალახა გამოცდების არც ისე იოლი ზღუდე. ამიერიდან ყოველი მათგანი პედაგოგია, მწვრთნელი. ხუთმა — პ. ოკონაშვილმა, ვ. მელაძემ (მასობრივ სახეობათა ფაკულტეტი), გ. იაშვილმა, მ. დიბიროვმა, ჯ. მალაქმანიძემ (გამოყენებითი სახეობები) გამოცდები ფრიადებზე ჩააბარეს. საერთოდ კი, ვერც ერთს ვერ დავემდურებით. მაგალითად, ოთარ ხომერიკი. იგი I კურსიდანვე აკადემიურ ნიჩბოსნობაში წვრთნეს რესპუბლიკურ ნაკრებს. რევაზ რატიანი გამოცდებზე პირდაპირ შეჯიბრებიდან მოვიდა, — საქართველოს მოკრივეთა ნაკრებთან ერთად ავსტრიაში იყო სასპარეზოდ. ომარ ბედოშვილმა სტუდენტობაშივე დაიწყო მწვრთნელად მუშაობა, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ძალოსნებს ამზადებდა. ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება.

ყველა ესენი და მათი ამხანაგები სპორტული მაჩვენებლებითაც არავის დაუდებენ ტოლს. სწორედ მათმა წარმატებამ განაპირობა, რომ ინსტიტუტმა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი დროშა დაისაკუთრა. ბევრნი, მაგალითად, ა. პუტიატინა, მ. შიპლინგი, თ. კლდიაშვილი წარმატებით მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში.

შარშან თავი გამოიჩინეს ჩვენმა მოჭიდავეებმა: ტარიელ ალიბეგაშვილმა სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა, მ. გოგავამ კი III ადგილი დაიკავა.

საინტერესო და დაძაბული იყო საწარმოო პრაქტიკაც. წლეულს პირველად გავგზავნეთ სტუდენტები ბათუმსა და სამხრეთ ოსეთში. ახლა ე. სანაკოევი, მ. ლორია, რ. ხუნდაძე და სხვები სწორედ იქ მიდიან სამუშაოდ. საერთოდ კი, კურსდამთავრებულთა უმეტესობამ ქარხნების, ფაბრიკების, სკოლების საგზურები მიიღო. ზოგი ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც მოსინჯავს ძალასა და ცოდნას: ა. კაუშლევა და ი. მატკავა ყაზახეთში მიდიან სამუშაოდ, ლ. ჩოგოვაძე და ს. სავიცკი — თურქმენეთში.

კეთილად გევლოთ, ძვირფასებო!

ვ. სამსონაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი.

მიმდინარეობს სახელმწიფო გამოცდები...

სურათზე: საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები გუნდის წევრი თ. კლდიაშვილი (მარცხნივ) გამოცდაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კომკავშირელთა მარჯვენით

ინსტიტუტის ამ სასწავლებლის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა პეტრე ოკონაშვილმა შემოგვატარა: ვნახეთ სპორტული დარბაზები, კლუბი, სადაც იმ დღეს მწვრთნელთა სკოლის სტუდენტები აბარებდნენ გამოცდებს, დავათვალიერეთ სტადიონი. სტადიონთან ახალი შენობა აღმართულა. ეს ჭიდაობის, ძალოსნობისა და კრივის დარბაზია. პეტრემ ამაყად გვითხრა: ჩვენი კომკავშირელებიც გაისარჯნენო.

გზადაგზა მდივანმა გვიამბო, რომ ინსტიტუტის კომკავშირული რაზმი 620 წევრს ითვლის, და რომ ეს რაზმი მუდამ მზადაა საქმისთვის. მაგალითად, ინსტიტუტში იშვიათი როდია კვირაობა. ამ სასწავლებლის ახალგაზრდებმა სპორტული ინვენტარი გადასცეს საჩუქრად ყამირზე მიმავალ ქართველ კომკავშირელებს. სტუდენტები ხშირად აწყობენ საჩვენებელ გამოსვლებს, ამხანაგურ შეხვედრებს როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში. ამ ზამთარს საუკეთესო კომკავშირელთა ჯგუფი სსრ კავშირის გმირ გ. სხულუხიას სოფელს, რუხს ეწვია (ზუგდიდის რაიონი) მის ვაჟთან, ჯემალთან ერთად, რომელიც ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობს. ამ ინსტიტუტის კომკავშირელებს ხშირად ნახავთ ორჯონიკიძის რაიონის სპორტულ ბაზებზე, რომლებიც სხვადასხვა შეჯიბრებას ემსახურებიან. ეხმარებიან ისინი ბევრი ქარხნისა და სკოლის ფიზკულტურელებსაც.

დასასრულ გავიხსენებთ ერთ საპატიო სიგელს, რომელიც ინსტიტუტის სტუდენტებს მ. ტულუშს, მ. მაქაცარიას, ვ. პოპანდოპულოს, ი. პრიმინს, ნ. სუხიტაშვილს, ბ. მანაგაძეს, თ. ხომერიკსა და შ. ფილიევს მიუღიათ თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის დირექციისაგან სასწავლო პრაქტიკის სანიმუშოდ გავლისთვის.

ვ. ბერიკაშვილი.

სტუდენტის წიგნი

ჩვენი სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება 104 წევრს ითვლის, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მათს მეცნიერულ მუშაობაზე გიამბობთ, ვინც წლეულს ამთავრებს ინსტიტუტს.

ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო იყო მაგომედ დიბიროვის ნამუშევარი: „დაღესტნის ხალხური სპორტი და თამაშები“. იგი ცალკე წიგნად გამოიცემა. მაგომედმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა სტუდენტთა საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში. ნამუშევრისთვის: „ავარელთა ხალხური სპორტი და თამაშები“ მას ბელორუსიის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პრიზი მიენიჭა.

ყურადღებას იქცევს პ. ოკონაშვილის „მცხეთის ჯვარი“. მან გვიჩვენა ფილმიც მცხეთის ღირსშესანიშნაობებზე.

ექსპერიმენტული ნამუშევრები წარმოადგინეს მოცურავე ა. ჩოგოვაძემ, მოჭიდავე მ. იაშვილმა, ძალოსანმა კ. კაპასაკალიდიმ.

მ. ტულუში,
სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე.

საიმედო ცვლა

კურსდამთავრებული ინსტიტუტში რჩება

გიორგი გიუტაშვილი მეორეთანრიგოსანი აკრობატი იყო ინსტიტუტში რომ მივიდა, ახლა კი სპორტის ოსტატია. გიორგი წლეულს ამთავრებს უმაღლესს, მაგრამ ინსტიტუტს როდი ტოვებს, ამიერიდან ტანვარჯიშის კათედრის მასწავლებლად იწოდება. ყველაფერი ასე დაიწყო: საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ო. კაკიაშვილმა შენიშნა გიორგის შრომისმოყვარეობა და თავის ჯგუფში ჩარიცხა იგი. პირველ შეჯიბრებებს განსაკუთრებული წარმატებები არ მოჰყოლია, მაგრამ მწვრთნელსა და მის მოწაფეს გული არ გასტეხიათ.

დღეები წვრთნაში ილეოდა და ამ დაძაბულ, შეუპოვარ შრომაში იჭედებოდა ოსტატობა. შარშან გიორგიმ საპრიზო ადგილი დაისაკუთრა საკავშირო სტუდენტურ თამაშებში (აკრობატული ხტომა).

გიორგი ინსტიტუტში დაოჯახდა. ახლა ოჯახი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისთვის ემზადება.

მადლობა!

„დაღესტნის აულიდან თბილისში იმ მიზნით ჩამოვედი, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტი დამემთავრებინა. ჩემი სოფლიდან პირველი მე ვამთავრებ უმაღლესს. მთელს დაღესტანში მე ვიქნები თავისუფალი ჭიდაობის პირველი სპეციალისტი. ეს დიდ პასუხისმგებლობას მაკისრებს. ოთხმა წელმა ოთხი დღესავით გაირბინა. ბევრი რამ ვისწავლე ამ ხნის მანძილზე. მალე სახელმწიფო გამოცდები დაიწყება. იმედი მაქვს, რომ თავს არ შევირცხვენ. მერე დაღესტანში დავბრუნდები და კარგ მოჭიდავეებს გავზრდი. ეს იქნება პასუხი იმ ამაგისა, რაც ინსტიტუტმა დამდო...“

დანილბეკ მაგომედოვის ეს წერილი ფიზკულტურის ინსტიტუტის კედლის გაზეთში წავიკითხეთ. ინსტიტუტში რომ შევიდა, დანილბეკი უკვე სპორტის ოსტატი იყო კრივში, ახლა კი თავისუფალ ჭიდაობაშიც მოიპოვა ეს საპატიო წოდება.

სამი ძმა

ჰამლეტ იაშვილმა ყველა გამოცდა ფრიადზე ჩააბარა. იგი გორის პედაგოგიურ ინსტიტუტშია განაწილებული ფიზკულტურის მასწავლებლად. იქ მუშაობს ჰამლეტის ძმა ალექსანდრეც.

ალექსანდრემ შარშან დაამთავრა ფიზკულტურის ინსტიტუტი და ახლა გორელ მოჭიდავეებს გადასცემს თავის ოსტატობას. მესამე ძმა — ვლადიმერი ჯერჯერობით მწვრთნელთა სკოლაში სწავლობს.

ჰამლეტმა სტუდენტობაში მოიპოვა სპორტის ოსტატობა. მას ბევრჯერ უსახელებია თავი სარბიელზე, მაგრამ ერთმა გამარჯვებამ მაინც ყველაზე დიდი სიხარული მოუტანა: შარშან რესპუბლიკის ჩემპიონობა დაისაკუთრა. ჰამლეტი არც საზოგადოებრივ საქმიანობაში უდებს ტოლს ვინმეს.

უცვლელი თავმჯდომარე

საზოგადოებრივი დავალება ბევრს ჰქონდა. ჩვენ მათგან მხოლოდ ერთზე — ვაჟა ტაბატაძეზე გიამბობთ. იგი ზედიზედ ოთხი წელია თავმჯდომარეობს ფიზკულტურის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის სტუდენტთა საბჭოს. კარგი მუშაობისთვის მას სამჯერ გადაეცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი.

რა თქმა უნდა, ვაჟას არც ძალოსნობა დავიწყებია — მესამეთანრიგოსანი იყო და I თანრიგი მოიპოვა.

ვ. ბუკია.

სპარტაკიადებ

✦ უხვმოსავლიანი...

კიევი, 28 ივნისი. დამთავრდა უკრაინის IV საიუბილეო სპარტაკიადა. ვაჟთა ესტაფეტაში 4×400 მეტრზე გაიმარჯვეს ოდესელებმა. შედეგი არც ისე მაღალია (3.14,8), მაგრამ მაყურებლებმა მაინც ტაშით დააჯილდოვეს ისინი. განსაკუთრებით მოეწონათ ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის ნ. ავილოვი, რომელმაც შესანიშნავად გაირბინა თავისი ეტაპი. ოდესის უნივერსიტეტის 18 წლის სტუდენტს სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მაგრამ არა ესტაფეტურ რბენაში, არამედ ათჭიდში.

მომავალი ინჟინერ-ფიზიკოსი უკვე ამართლებს მწვრთნელთა იმედებს. წლეულს იგი პირველად შეიყვანეს ქვეყნის ნაკრებში. ავილოვმა ეს ამბავი აღნიშნა სსრ კავშირის ჭაბუკთა რეკორდით (7286 ქულა).

სხვათა შორის, ათჭიდელთა ჯერ არც ერთი რესპუბლიკური ასპარეზობა არ ყოფილა ასე უხვმოსავლიანი. საკმარისია ითქვას, რომ 21-ე ადგილზე გასულმა სპორტსმენმაც კი ოსტატის კანდიდატის ნორმა აჩვენა. 26 მონაწილემ შეასრულა I თანრიგის ნორმატივი. თუმცა, საბოლოოდ ეს ამბავი არც ისე სასიხარულო აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულებით, გუნდს ჩასათვლელ ქულებს მხოლოდ პირველ ოც ადგილზე გასულები აძლევენ (თუ I თანრიგის ნორმატივში ჩაეტევიან).

თავი არ შეურცხვენიათ უკრაინელ სნაიპერებს. რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა ჩერნიგოველმა ლ. საზონტოვმა. მან 581 ქულა დააგროვა ნებისმიერი შაშხანით მცირე სტანდარტზე სროლაში. ეს მხოლოდ 2 ქულით ნაკლებია ქვეყნის უმაღლეს მიღწევაზე. უნდა აღინიშნოს 18 წლის ნ. ბოგუსლავსკაიას (კიევი) წარმატება სამიზნე პისტოლეტით სროლაში. მან 272 ქულა დააგროვა და სპარტაკიადის უმაღლესი ჯილდო დაისაკუთრა. დონეცკელმა კ. ცაბოლოვმა ამავე პისტოლეტით (60 გასროლა) მოიპოვა შედეგი, რომელიც ლენინგრადელი ა. იასინსკის „უძველეს“ მსოფლიო რეკორდს უდრის — 566 ქულა.

✦ ციფრები...

კიევი, 29 ივნისი. ციფრები... ისინი გამოხატავენ გამარჯვების კილოგრამებს, მეტრებს, ქულებს, წამებს. მათ ვერც მაშინ აუვლი გვერდს, როცა ასპარეზობის შედეგები ჯამდება. ციფრები გვახარებენ, გრძელ ჯაჭვად რომ ჩამომწკრივდებიან. ციფრების სწორედ ასეთი მრავალმნიშვნელოვანი „ხაზით“ დაგვირგვინდა უკრაინის IV საიუბილეო სპარტაკიადის ფინალური ბრძოლები.

სპარტაკიადის მსვლელობის დროს დამყარდა 28 საკავშირო და 103 რესპუბლიკური რეკორდი. შეჯიბრების მონაწილეთაგან საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა 57 კაცმა, სპორტის ოსტატისა — 1441, ოსტატობის კანდიდატისა — 1782, პირველი თანრიგისა — 23200 სპორტსმენმა. მილიონზე მეტმა ფიზკულტურელმა მიიღო მასობრივი სპორტული თანრიგის ნიშნის ტარების უფლება.

აი, რა საჩუქარი უძღვნეს უკრაინელმა სპორტსმენებმა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადას!

✦ ახალი სახელები

ლენინგრადი, 29 ივნისი. ოთხი ათასზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი ნევის ნაპირებზე, სადაც რსფსრ-ს ხალხთა IV სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა ტარდება. ლენინგრადელები ამ დღეებში ნახავენ მსოფლიო ჩემპიონებს — მოჭიდავეებს ვ. იგუმენოვს და ნ. შმაკოვს, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ა. ალიევს, ძალოსნებს — მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს ა. ვახონინსა და ვ. კურენცოვს...

მაგრამ აი, 14 წლის კიროვოჩეპეცკელ მოსწავლეს ლ. სოცკოვას, რომელიც მოცურავეთა შეჯიბრების ყველაზე ნორჩი მონაწილეა, დღემდე არავინ იცნობდა. ამ გოგონამ ბრინჯაოს მედალი მ
ცურვაში, თანაც, სპორტის ოსტა
15 წლის არმავირელი მოსწავლ
ნა. პირველმა „ვერცხლი“ დაისა
ოქროს მედალი.

მოჭადრაკეთა ტურნირში მო
პოლუგაევსკი, ვ. ანტოშინი და
ტატები, მაგრამ მარცხისგან და
სოროკინმა მოუგო დიდოსტატ
ტატი ს. ჟუხოვიცკი.

ახლა ერთმანეთს პირველობა
ვეები, ტანმოვარჯიშეები... მთა

✦ ენთუზიაზმის

კიშინიოვი, 28 ივნისი.
ლუმით აღნიშნა მოლდაველთ
სიხარული პერიოდი, რომელ
დეგს დაემთხვა. უკვე გამოვ
ლა დადგა ჯერი კალათბურთ
ნების, მოცურავეებისა...

ჯერჯერობით გუნდურ
თუმცა, ზოგიერთი შედეგი
ვეზულთ. რესპუბლიკის

„დიდი ოთხეულის“ ბრძოლა



სურათზე: აი, ასე იბრძოდა ზ. საკანდელიძე (ბურთით) მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში...

მსოფლიო ჩემპიონატი სპორტის ნებისმიერ სახეობაში, ჩემი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი და ყოვლისმომცველი ტურნირია, ვიდრე ოლიმპიური. თუმცა არსებობს საწინააღმდეგო აზრი თავისი კლასიკური მაგალითით — ამერიკის შეერთებული შტატებით. მართლაც, კალათბურთის სამშობლოში ძალზე პოპულარულია ოლიმპიური ტურნირი. ამიტომ ამერიკელებს ოლიმპიადებში უფრო ძლიერი გუნდი გამოჰყავთ (ასე ამბობს ყველა, ვისაც ერთი შეჯიბრებაც უნახავს და მეორეც), ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატებში და სისტემატურად წარმატებასაც აღწევენ. მაგრამ ასეთი პოზიცია მათი სუბიექტური რწმენის ნაყოფია და არაფრით არ შეიძლება ყველაზე გავრცელდეს.

ჰკითხეთ, მაგალითად, ბრაზილიელებს, რომელი შეჯიბრებაა უფრო მნიშვნელოვანი? პასუხს უყოყმანოდ მსოფლიო ჩემპიონატის სასარგებლოდ მიიღებთ. როგორც ჩანს, ამერიკელებს ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრება აქვთ, ბრაზილიელებს — თავიანთი. ჩვენთვის, საბჭოთა კალათბურთელებისთვის, ერთიცა და მეორეც ერთნაირად მისაღებია, ვინაიდან ჯერჯერობით ვერც ერთში ვერ ვიგემეთ უმაღლესი ბედნიერება.

თუმცა, ჩვენს პოზიციასაც პატარა განმარტება სჭირდება. საბჭოთა კალათბურთს, მსოფლიოში ერთ-ერთ მოწინავესა და პროგრესულს, მსოფლიო ჩემპიონის ტახტზე მეტი მორალური უფლება აქვს, ვიდრე ოლიმპიურ გვირგვინზე. მაგრამ ხან კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის დისკრიმინაციის გამო, ხან კი ჩვენგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზებით ამ უფლებამ ვერ იქნა და ხორცი ვერ შეისხა. ერთი სიტყვით, ჩვენი მორალური უფლება მსოფლიოს V ჩემპიონატამდე მხოლოდ თეორია იყო. სხვა საქმეა ოლიმპიური ტურნირები. აქ სსრ კავშირის გუნდს — ტრადიციულ ვერცხლის პრიზიორს, ალქიმიკოსებისა არ იყოს, ერთი ამოცანა აქვს: როგორმე ვერცხლი ოქროდ გადაადნოს.

კალათბურთში ისე, როგორც ჰოკეიში, არსებობს „დიდი ოთხეული“, რომელიც განუკითხავად ინაწილებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მთელ მარაგს. ამ მხრივ გამონაკლისს არც მსოფლიოს V ჩემპიონატი წარმოადგენდა, რომელმაც „დიდი ოთხეულის“ წევრებს საბრძოლო მზადყოფნის ზენიტში მოუსწრო. „ლელოს“ მკითხველებმა კარგად იციან მისი შედეგები. მე, რა თქმა უნდა, მას ხელახლა არ დავუბრუნდები. ჩემი სურვილია გაგიზიაროთ ის შთაბეჭდილებანი, რომლებიც ბრძოლის მსვლელობისას დამიგროვდა და ჯერ მთლიანად არ მომიყვანია სისტემაში (საამისოდ დროა საჭირო).

მაშ ასე, პირველ ყოვლისა, „დიდ ოთხეულზე“.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ბრაზილია ოთხეულის სხვა წევრებზე უკეთეს პირობებში გახლდათ. ურუგვაელებმა, რომლებიც ინტუიციით გრძნობდნენ თავიანთი გუნდის შედარებით სისუსტეს, მთელი სიყვარული ჩრდილოელ მეზობლებზე გადაიტანეს და უშრეტი ტემპერამენტის მარაგი მათ მოახმარეს. ასეთი ფორა ამ კონკრეტულ გეოგრაფიულ პირობებში დიდი კოზირი იყო და ბრაზილიელებმა იგი შეძლებისდაგვარად გამოიყენეს კიდეც.

ძირითადი, სასტარტო ხუთეულის მიხედვით, ბრაზილიის გუნდი, ჩემი აზრით, დღესაც უძლიერესია მსოფლიოში. მაგრამ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს არ უვარგა სკამის სიგრძე. უბირატანი, მენონი, ამაური, მოსკიტო და ჟაირი ფენომენალური კალათბურთელები არიან, მაგრამ ნაკრების მეექვსე მოთამაშე, მეცხრეზე ან მეათეზე რომ არაფერი ვთქვათ, ოსტატობის მხრივ საგრძნობლად ჩამოუვარდება მათ. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებთან შეხვედრაში ბრაზილიელებს ძირითადი ხუთეული თამაშის ბოლომდე შერჩათ და გაიმარჯვეს კიდეც. მაგრამ ასეთი რამ მსოფლიო პირველობების ფინალში, ისიც თანაბარი სიძლიერის გუნდების ორთაბრძოლაში, იშვიათად ხდება.

ისე კი, გულახდილად უნდა ვთქვა, რომ ბრაზილიელები იუგოსლავიელებზე მეტად იყვნენ II საპრიზო ადგილის ღირსნი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ოდნავადაც არ გაუმართლა და ეს უდავოდ დაეტყო ტურნირის შედეგსაც. ბრაზილიელებმა თავიანთი ნამდვილი ძალა აშშ-ს ნაკრებთან ბოლო შეხვედრაში აჩვენეს. ამ გამარჯვებამ მათ უდიდესი მორალური კმაყოფილება და... ბრინჯაოს მედლები მოუტანა.

მკითხველებს, ბუნებრივია, აინტერესებთ, თუ ვისი გამოყოფა შეიძლება ბრაზილიელთაგან. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ხუთეულის ყველა წევრი ერთმანეთის ღირსია, მაგრამ უბირატანი და მენონი მაინც გამოირჩევიან სხვებისგან. ეს ტანდემი ზუსტი, უშეცდომო მექანიზმია, რომელიც ბრწყინვალედ ფლობს ყველა საკალათბურთო ცნებას.

ორიოდე სიტყვა ამაურიზე, ბრაზილიური კალათბურთის ვარსკვლავზე, რომელმაც ამ ჩემპიონატის შემდეგ სპორტს თავი მიანება. იგი უნივერსალური კალათბურთელია, ერთნაირად ძლიერი თავდასხმასა და დაცვაში. რაც მთავარია, ამაური შეტევის უბადლო დირიჟორია. იგი ოსტატურად ხელმძღვანელობს პარტნიორების თამაშს და უსიტყვოდ ესმის მათი ჩანაფიქრი. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ უმისოდ ბრაზილიის ნაკრებს გაუჭირდება.

„დიდი ოთხეულის“ მეორე წევრი — აშშ-ს გუნდი, მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სახელდახელოდ შეიკრიბა და ეს იყო მისი მთავარი ნაკლი. ამ გუნდის ზოგიერთი მოთამაშე საერთოდ არ ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისინი ურუგვაიში გამგზავრების წინ, 3 კვირით ადრე შეიკრიბნენ და, ცხადია, როგორც საჭიროა, ისე ვერ შეთამაშდნენ. მაგრამ ამერიკელთა წარუმატებლობას სხვა მიზეზებიც ჰქონდა.

წინათ ამერიკის ნაკრების ერთ-ერთი მთავარი კოზირი სწრაფი, ტემპიანი თამაში გახლდათ. ამერიკელთა სახელგანთქმული პრესინგი და გრიგალისებური შეტევა მეტოქის ძალების არევდარევის მთავარი საშუალება იყო. ისინი ჯერ ფსიქიურად სპობდნენ მოწინააღმდეგეს და შემდეგ იწყებდნენ შეხვედრის მოგებას.

ზ. საკანდელიძე,
სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების წევრი, სპორტის ოსტატი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუნდები, გოლები, ავტორები

29 ივნისის მატჩით მოსკოვის „სპარტაკსა“ და მინსკის „დინამოს“ შორის დამთავრდა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტური. ეს თამაში მოიგეს სპარტაკელებმა — 2:0. ანგარიში ტაიმის დასასრულს გაიხსნა საკმაოდ მოულოდნელად, მას შემდეგ, რაც ბურთი მოხვდა ამბარცუმიანს და რიკოშეტით გავიდა კარში. მეორე გოლის ავტორი იყო ჰუსაინოვი.

მოგვყავს სხვა მატჩებში გატანილი ბურთების ავტორთა ვინაობა. „ნეფტიანიკი“ — „კრილია სოვეტოვი“ (3:0): გაჯიევი, მარქაროვი, ტუაევი, „არარატი“ — ცსკა (0:2): კაპლიჩნი და პოლიკარპოვი, „ჩერნომორეცი“ — მოსკოვის „ტორპედო“ (0:1): ლენიოვი. „შახტიორისა“ და „ზარიას“ შეხვედრაში ანგარიში გახსნა „ზარიამ“ (პროდანეცი). შემდეგ ბარდეშინმა გაქვითა გოლი, მაგრამ მატჩის დასასრულს ლუგანსკელთა მარჯვენა მცველმა დეგტიარევმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი და დამარცხება მოუტანა თავის გუნდს. ეს უკვე მეოთხე შემთხვევაა „ა“ კლასის I ჯგუფში, როცა მცველს საკუთარ კარში გააქვს გოლი.

ჩვენ ვწერდით, რომ უმაღლეს ლიგაში XII ტურამდე არ იყო მინდვრიდან გაძევებული არც ერთი მოთამაშე, მაგრამ ტურის ბოლო მატჩში — მოსკოვის „ტორპედოსა“ და „არარატის“ შეხვედრაში კიევულმა არბიტრმა ა. მუგურდუმოვმა დისციპლინის დარღვევისთვის თამაშში დაატოვებინა მოსკოველ ვ. ანდრეიუკსა და ერევნელ ფ. აბრამიანს. ეს სია გაიზარდა 28 ივნისს „პახტაკორის“ კაპიტნის ბ. აბდურაიმოვის სახით.

XIII ტურის მატჩებში გატანილია 17 გოლი, აქედან 8 მასპინძლებს ეკუთვნით, 9 — სტუმრებს. მშობლიურმა კედლებმა ვერ უშველეს მასპინძლებს: მათ 8 ქულა აიღეს, ხოლო სტუმრებმა — 10.

ჩემპიონატის ერთპიროვნული სნაიპერი გახდა ბაქოელი ე. მარქაროვი — 8 გოლი.

I „ა“ კლასი
I ჯგუფი

„ბ“ კლასი
IV ზონა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (მახაჩყალა)	14	9	3	2	21—8	21
„ცემენტი“ (ნოვოროსიისკი)	14	8	3	3	21—6	19
„ლორი“ (კიროვაკანი)	14	9	1	4	19—12	19
„ლერნაგორცი“ (კაფანი)	14	7	4	3	18—12	18
„სპარტაკი“ (კისლოვოდსკი)	14	7	4	3	14—8	18
„დილა“ (გორი)	14	7	3	4	15—11	17
„მაშინოსტროიტელი“ (პიატიგორსკი)	14	7	3	4	21—18	17
„დინამო“ (სოხუმი)	14	6	4	4	20—14	16
„არაქსი“ (ერევანი)	14	7	2	5	25—17	16
„ტროჟაი“ (კრიმსკი)	14	6	4	4	12—10	16
„ტროჟაი“ (მაიკოპი)	14	4	6	4	16—15	14
„მეტალურგი“ (რუსთავი)	14	4	5	5	14—16	13
„ენგური“ (ზუგდიდი)	14	4	5	5	11—20	13
„შუქურა“ (ქობულეთი)	14	4	3	7	18—21	11
„გურია“ (ლანჩხუთი)	14	5	1	8	17—20	11
„ტროჟაი“ (დერბენტი)	14	3	4	7	9—13	10
„სევანი“ (ოქტემბერიანი)	14	4	2	8	11—17	10
„ალაზანი“ (გურჯაანი)	14	2	4	8	10—22	8
„მაღაროელი“ (ჭიათურა)	14	3	1	10	7—23	7
„კოლხეთი“ (ფოთი)	14	2	2	10	10—26	6

მოზარდთა ზონალური ტურნირი

თბილისში გრძელდება „ა“ და „ბ“ კლასების ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ფინალური ტურნირი.

კარგად ითამაშეს სოხუმის დინამოელებმა თბილისელ თანაკლუბელთა წინააღმდეგ და მიაღწიეს ფრეს — 1:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრა ქუთაისის „ტორპედოსთან“.

თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა ანგარიშით 3:1 დაამარცხა ფოთის „კოლხეთი“.

ტურნე დაამთავრეს

საფრანგეთის რეგბისტთა კლუბების ნაკრებმა დაამთავრა ტურნე სსრ კავშირში. საქართველოში „ლოკომოტივთან“ ორი მატჩის მოგების შემდეგ (26:8, 19:12) ფრანგები მოსკოვს ეწვიენენ და აქაურ გუნდებთანაც ორი შეხვედრა გამართეს. სტუმრებმა ჯერ ადგილობრივ „ბურევესტნიკს“ მოუგეს — 19:0, ხოლო შემდეგ „სპარტაკს“ — 28:11.

აღსანიშნავია, რომ „ბურევესტნიკის“ გუნდი დაკომპლექტებული იყო მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და საავიაციო ინსტიტუტის მოწინავე რეგბისტებით. მატჩის გმირი იყო დენე, რომელმაც თავის გუნდს 10 ქულა შესძინა. თუ შედეგებს გადავხედავთ, ცხადი გახდება, რომ თბილისის „ლოკომოტივმა“ უფრო ჯიუტი მეტოქეობა გაუწია მსოფლიოში აღიარებულ ფრანგ რეგბისტებს.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

თრა 100 მეტრზე თავისუფალი სტილით
მოიპოვა. სპორტის ოსტატები გახდნენ
უშკინა და 18 წლის კიროველი ტ. შუმიხი-
100 მეტრზე ბრასით ცურვაში, მეორემ —

ეობს ოთხი დიდოსტატი — ბ. სპასკი, ლ.
გიუსი. მონაწილეობენ საერთაშორისო ოს-
ი არავინაა. ოსტატობის კანდიდატმა ბ.
ნს. ტურნირის ლიდერია როსტოველი ოს-

ებიან მოჭადრაკენი, მოჭიდავეები, მოცურა-
სტარტები წინაა.

ფი

ლათასიანი მიტინგითა და ლამაზი ალ-
საიუბილეო სპარტაკიადის ყველაზე სა-
ცხუნვარე მოლდავური ზაფხულის დამ-
ენ ჩემპიონები მრავალ სახეობაში. ახ-
ს, მოკრივეების, მძლეოსნების, ძალოს-

ში ლიდერობს კიშინიოვის ნაკრები,
რტ კმაყოფილებას ვერ ჰგვრის გამარჯ-
აჭის წყალბურთელებს ყველა მატჩში

აშკარა უპირატესობა ჰქონდათ და ქალაქ სოროკას გუნდთან შეხვედრა, მაგალითად, დაამთავრეს ანგარიშით 25:0. ეს მატჩი არ გამოდგება ჩემპიონთა მაღალი ოსტატობის დასტურად, — მეტოქე მეტისმეტად სუსტი ჰყავდათ. კიშინიოვის წარმომადგენლები პირველობენ სპორტის ტექნიკურ სახეობებშიც. გამონაკლისია მხოლოდ ტირასპოლის მოდელისტთა გუნდი.

... ახლახან დამთავრდა მოსწავლეთა სპარტაკიადაც. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ნორჩმა მძლეოსნებმა. ახალმა სიომ დაჰბერა სპრინტში, რომელიც აქამდე არ იდგა სათანადო დონეზე. იმედის წამები შეიძლება ვუწოდოთ 16 წლის კიშინიოველი მოსწავლის ს. ლისენკოს შედეგს. მან 100 მეტრის გარბენას 10,8 წამი მოანდომა, 200 მეტრის გარბენას კი — 22,5. ეს რესპუბლიკის ახალი რეკორდებია ჭაბუკებისთვის.

ახალგაზრდობა, ვეტერანები

ალმა-ათა, 29 ივნისი. ყაზახეთის რესპუბლიკური სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა ცურვაში დედაქალაქის ცენტრალური სტადიონის ახალ, შესანიშნავ აუზში გაიმართა. რესპუბლიკის ნაკრების წევრებს ამ „დიდ პრემიერაში“ მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ყაზახეთის ახალი რეკორდი მაინც დამყარდა. მისი ავტორია ალმაათელი მოსწავლე, 17 წლის ტ. კურსინოვა, რომელმაც 100 მეტრი 1 წუთსა და 5,2 წამში გაცურა თავისუფალი სტილით. ტანიამ გაიმარჯვა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც.

თავისებურ რეკორდად შეიძლება ჩაითვალოს სპორტის ოსტატ ა. უფიმცევის მიღწევაც: 53 წლის ვეტერანმა დაამტკიცა, რომ სპორტისთვის ასაკი მთავარი არ არის. მან ყველა მეტოქე ჩამოიტოვა მოჭადრაკეთა ტურნირში.

და მაინც, „რეკორდთა რეკორდი“ დაამყარეს ტყვიის სროლის ოსტატებმა. სნაიპერებმა განაახლეს ყაზახეთის ათამდე უმაღლესი მიღწევა. კარგად იასპარეზეს ველოსიპედისტებმაც: საგზატკეცილო რბოლას 22 ოსტატის შედეგი მოჰყვა.

მძლეოსნებში გამოირჩეოდა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ლ. მიკიტენკო. ამ 3 თვის წინ იგი დაშავდა და სარბენ ბილიკზე დღემდე აღარ გამოჩენილა. ახლა მიკიტენკომ მოიგო რბენა 1.500, 5.000 და 10.000 მეტრზე. ალმაათელმა ათჭიდელებმა ვ. ჰამალიაინენმა და ვ. ივანიშკომ 7-ათასიანი ზღუდე გადალახეს. პირველმა მოაგროვა 7085, მეორემ — 7043 ქულა. ჭოკით ხტომაში რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა ა. ემელიანენკომ — 460 სმ.

ყაზახეთის პირველი ჩემპიონი ქალების სახელი მოიპოვეს: 1.500 მეტრზე რბენაში (შეიძლება მომავალში ეს დისტანცია ოლიმპიური გახდეს) ალმაათელმა ლ. გავრილოვამ — 4.33,2 და 200 მეტრზე თარჯრბენში — კუსტანაელმა ლ. ბლოხინამ — 29,1.

წყლიდან ოსტატებად ამოვიდნენ

რიგა, 30 ივნისი. რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე წყალქვეშელთა შეჯიბრება უმასის ტბაზე გაიმართა. ოთხდღიანმა ასპარეზობამ 9 ოსტატი შვა. გაიმარჯვეს 19 წლის სპორტსმენებმა — ნოქარმა ტ. შჩიპკოვამ და ზეინკალმა რ. პოლიაკოვმა.

[illegible]

უნივერსიადას დისკრიმინაციის აჩრდილი დასტრიალებს

— საბჭოთა სპორტსმენები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებენ მონაწილეობას 1967 წლის საერთაშორისო საზაფხულო სტუდენტურ თამაშებში (ტოკიო), თუ ამ ასპარეზობის მონაწილეთა მიმართ არ იქნება არავითარი დისკრიმინაცია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ვ. ევსეევს საბჭოთა სტუდენტური საზოგადოება „ბურევესტნიკის“ თავმჯდომარის მოადგილემ ნ. რუსაკმა. — განზრახული გვაქვს გამოვიდეთ უნივერსიადის პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სახეობაში და ვიმედოვნებთ, რომ გუნდურ ჩათვლაში წარმატებას მოვიპოვებთ. ჩვენი დელეგაცია საკმაოდ მოზრდილი იქნება. მისი კანდიდატები ძირითადად უკვე დავადგინეთ. მათგან ყველამ უნდა ჩააბაროს კიდევ ერთი შესარჩევი გამოცდა — მონაწილეობა მიიღოს სსრ კავშირის ხალხთა საიუბილეო სპარტაკიადაში. ამ ასპარეზობის შედეგების მიხედვით დავადგენთ სტუდენტური დელეგაციის საბოლოო შემადგენლობას.

ჩვენ ვიცით, რომ სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები გულდასმით ემზადებიან თამაშებისთვის. მრავალრიცხოვან დელეგაციებს გამოგზავნიან სხვა სახელმწიფოებიც, რომელთაც გუნდურ ჩათვლაში წარმატების იმედი აქვთ. თუმცა, უნივერსიადისადმი ინტერესს მხოლოდ მედლების რაოდენობა როდი განაპირობებს. სპორტი იმით არის კარგი, რომ მოასპარეზეთა მარცხი და წარმატება ხელს ვერ უშლის მათს მეგობრობას.

თამაშები, რაც პირველად ტარდება აზიაში და რომელმაც 40 ეროვნული ორგანიზაციის განაცხადები მიიღო, შეიძლება იქცეს ახალ ნაბიჯად სტუდენტთა საერთაშორისო სპორტის განვითარებაში.

მაგრამ ჩვენ სერიოზულად გვაშფოთებს პოზიცია უნივერსიადის ორგანიზატორებისა, რომლებიც ცდილობენ ზედმეტი პოლიტიკური გართულება შეიტანონ ამ თამაშებში. კერძოდ, საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (ფისუ) და ტოკიოს საორგანიზაციო კომიტეტი უკანონოდ მოითხოვენ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა „ჩრდილოეთ კორეის გუნდის“ სახელით იასპარეზონ. ამით ისინი ცდილობენ გული მოიგონ იაპონიის ზოგიერთი წრისა, რომლებიც, თავის მხრივ, სამხრეთკორეული მარიონეტული რეჟიმის კვალს მიჰყვებიან.

საორგანიზაციო კომიტეტი იშველიებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოქმს, სადაც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა თითქოს „ჩრდილოეთ კორეად“ არის წარმოდგენილი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამგვარი რწმუნება ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. საყოველთაოდ ცნობილია: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არის სუვერენული სოციალისტური სახელმწიფო, რომელსაც ყველა სხვა სახელმწიფოსავით აქვს უფლება, რომ თავისი სპორტსმენები უნივერსიადაზე გაგზავნოს.

არსებობს უნივერსიადისთვის აუცილებელი მეორე ჩანაწერიც — საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ჩანაწერი იმის თაობაზე, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სტუდენტთა სპორტული ორგანიზაცია — „კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სტუდენტ-სპორტსმენთა კავშირი“ — სრულუფლებიანი წევრია სტუდენტთა საერთაშორისო ფედერაციისა. სწორედ ამ სახელით უნდა მიიღოს მან მონაწილეობა თამაშებში.

ასპარეზობის ორგანიზატორ ქვეყანას, ამ შემთხვევაში იაპონიას, არავითარი უფლება არა აქვს თავისი სურვილით იმოქმედოს საერთაშორისო ფედერაციის წინააღმდეგ, დაარღვიოს მისი წესდება, უნივერსიადაში მონაწილეობისთვის თავისი პირობები წაუყენოს ეროვნულ სტუდენტურ დელეგაციებს. ეს ასპარეზობა, როგორც ცნობილია, საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით ტარდება.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვიკვირს, რომ სამხრეთ კორეის მარიონეტული ხელისუფლება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სტუდენტ-სპორტსმენთა წინააღმდეგ გამოდის. მან ხომ უკვე შეირცხვინა თავი ვიეტნამელ ხალხთან ამერიკელ აგრესორებთან ერთად ბინძური ომით. მაგრამ ის გარემოება, რომ ტოკიოს უნივერსიადის ორგანიზატორები ცდილობენ გაატარონ დისკრიმინაციის პოლიტიკა სპორტში, მარტო გაოცებას კი არა, კანონიერ აღშფოთებას იწვევს.

დისკრიმინაცია საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის ერთ-ერთი წევრის მიმართ უხეში დარღვევაა ამ ორგანიზაციის წესდებისა. ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტუდენტური თამაშების იდეას. სხვა ქვეყნების სტუდენტურ ორგანიზაციებს შეუძლიათ ზომები მიიღონ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენთა სოლიდარობის ნიშნად, შეუძლიათ გადასინჯონ თავიანთი გადაწყვეტილება ტოკიოს უნივერსიადასთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მოხდება იგივე, რაც მოხდა ფრენბურთელ ქალთა ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატში: იაპონელ ორგანიზატორთა დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად შეჯიბრება საცოდავ ფარსად იქცა.

— ამ პოლიტიკას, — თქვა დასასრულს რუსაკმა, — შეიძლება მოჰყვეს დამღუპველი შედეგები საერთაშორისო სტუდენტური სპორტის ერთიანობისა და საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციისთვის. განზრახული გვაქვს ამ ფედერაციის კომიტეტის სხდომაზე, ლოზანაში, გადაჭრით დავიცვათ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სტუდენტ-სპორტსმენთა ინტერესები, ვიბრძოლოთ ფედერაციის წევრთა მიმართ დისკრიმინაციის წინააღმდეგ. ვიმედოვნებთ, რომ კომიტეტი პრინციპულ პოზიციას დაიჭერს და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი თავისი ოფიციალური სახელით ჩაებმება ასპარეზობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში ან უარს ვიტყვით ტოკიოს თამაშებში მონაწილეობაზე, ან უნივერსიადის სხვა ქვეყანაში გადატანას მოვითხოვთ.

ჯერჯერობით გადადეს...

ლოზანა, 29 ივნისი. ზემოხსენებული საკითხი საბოლოოდ განიხილება 17-18 ივლისს, როცა ბრიუსელში ჩატარდება საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის (ფისუ) აღმასრულებელი კომიტეტის საგანგებო სესია. ასე გადაწყდა აქ, ფისუ-ს კომიტეტის ვიწრო სხდომაზე, რომელსაც ფედერაციის პრეზიდენტი პ. ნებიოლო (იტალია) და ვიცე-პრეზიდენტი ი. პარფიონოვი (სსრ კავშირი) თავმჯდომარეობდნენ.

კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა უნივერსიადაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ უარს იტყვის აპარტეიდის პოლიტიკაზე. სხდომამ მოისმინა იაპონიის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელთა მოხსენება თამაშებისთვის მზადების თაობაზე. ასპარეზობა 26 აგვისტოს დაიწყება და 4 სექტემბერს დამთავრდება.

ა. ს. კიკნაძე

ქართული ფეხბურთის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა მისი შესანიშნავი წარმომადგენელი, თბილისის „დინამოს“ დიდ წარმატებათა ერთ-ერთი ფუძის ჩამყრელი და მოამაგე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი არჩილ სამუელის ძე კიკნაძე.

ძნელია გამოეთხოვო ჯან-ღონით სავსე ადამიანს 52 წლის ასაკში, რომელმაც ბევრი, ძალიან ბევრი გააკეთა ქართული ფეხბურთის წარმატებისა და აყვავებისთვის როგორც სპორტსმენმა და მოთამაშემ, როგორც მწვრთნელმა და აღმზრდელმა, როგორც ალალმართალმა, კეთილსინდისიერმა კაცმა, რომელიც ჭაბუკური სიყვარულით და ერთგულებით იყო გატაცებული საყვარელი საქმით.

არჩილ კიკნაძე დაიბადა 1915 წელს თბილისში. აქ სწავლობდა იგი ჯერ საშუალო სკოლაში, შემდეგ ინდუსტრიულ ტექნიკუმში და ბოლოს—ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1939 წელს.

ნიჭიერი ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩა და 1937 წელს არჩილ კიკნაძე მიიწვიეს თბილისის „დინამოში“, სადაც იგი დაცვის ერთ-ერთ ბურჯს წარმოადგენდა და ერთხანს გუნდის კაპიტანიც იყო. თბილისის „დინამოს“ ისტორია და დიდი წარმატებები მას შემდეგ განუყოფლადაა დაკავშირებული არჩილ კიკნაძის სახელთან, მის დახვეწილ, ჩინებულ ოსტატობასთან. 1950 წლამდე გამოდიოდა არჩილი დინამოელთა კოლექტივში და ამ ხნის მანძილზე ჩვენი ქვეყნისა თუ უცხოეთის სტადიონებზე მაყურებელს ხიბლავდა მისი ჭკვიანური, ტაქტიკური გონებამახვილებით აღსავსე, საზრიანი თამაში, რაინდული თავაზიანობა და კორექტულობა სპორტულ მეტოქეთა მიმართ. საკმარისია ითქვას, რომ 13 წლის მანძილზე საკავშირო შეჯიბრებათა ასპარეზზე ბრძოლის განმავლობაში არჩილს არც ერთი გაფრთხილება არ მიუღია მსაჯთაგან.

1950 წლიდან ა. კიკნაძე მუშაობდა თბილისის 35-ე სკოლაში უფროს მწვრთნელად. საყოველთაოდ ცნობილია ამ სკოლის დამსახურება ქართული ფეხბურთის წინაშე. რამდენმა შესანიშნავმა მოთამაშემ აიდგა აქ ფეხი, რამდენი დღესაც ამშვენებს თბილისის „დინამოს“ რიგებს და მათი აღმზრდელი, მათი სპორტული დაოსტატების მოთავე იყო არჩილ კიკნაძე. საკმარისია დავასახელოთ მ. მესხის, შ. იამანიძის, ა. და ს. კოტრიკაძეების, ვ. ივანოვის, თ. პეტრიაშვილის, ა. ხელაძის, დ. ხუნდაძის, ა. ჩიჩუას, მ. დავარაშვილისა და სხვათა სახელები. საქართველოს მოზარდთა ნაკრებმა გუნდმა ა. კიკნაძის ხელმძღვანელობით ორჯერ მოიპოვა სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება. ამას გარდა, არჩილი თბილისის „დინამოს“ ოსტატთა გუნდის მწვრთნელიც იყო.

მაგრამ ა. კიკნაძე მარტო ფეხბურთით არ შემოფარგლულა. ნიჭიერი ინჟინერი მუშაობდა თბილისის ექსპერიმენტულ სპორტნაკეთობათა ფაბრიკის დირექტორად, ტრესტ საქჰიდროენერგომშენის სამოქალაქო და ბინათმშენებლობის სამმართველოს აპარატში და მცოდნე, კვალიფიციური სპეციალისტის სახელი დაიმკვიდრა.

და აი, ღვაწლმოსილი ფეხბურთელი, მწვრთნელი და ინჟინერი მოულოდნელად, უეცრად გამოაკლდა ჩვენს რიგებს. არჩილ სამუელის ძე კიკნაძის ნათელი ხსოვნა, მისი კაცური სახელი მარად იცოცხლებს მისი მახლობლების, მეგობრებისა და აღზრდილთა გულებში.

ამხანაგების ჯგუფი.

[illegible]

ველოსპორტის მოზაიკა

დრეზდენი, 29 ივნისი. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ გაიმარჯვა სპრინტერთა სამდღიანი საერთაშორისო შეჯიბრების აქ გამართულ მეორე ეტაპზე. მან ორი ფინალური რბოლა მოუგო ჩეხოსლოვაკიელ კუჩირეკს. თბილისელი მრბოლელი ასევე საუკეთესო იყო პირველ ეტაპზე ბერლინში. ამრიგად, ორი ეტაპის ჯამში ფხაკაძე 16 ქულით ლიდერობს და ინარჩუნებს ბერლინის დიდი პრიზის მოპოვების შანსს (III ეტაპი გაიმართება პარასკევს). 13-13 ქულა აქვთ კუჩირეკსა და დ. მორელონს (საფრანგეთი).

სანდომეჟი, 29 ივნისი. პოლონეთის ამ ქალაქში სტარტი აიღო საერთაშორისო ტრადიციულმა ველოგადარბენამ „პოლკოვნიკ სკოპენკოს საბრძოლო გზით“. ექვსეტაპიან გადარბენაში (661 კმ), მასპინძელთა 17 გუნდის გარდა, მონაწილეობენ სსრ კავშირისა და გდრ-ის ველოსიპედისტები. საბჭოთა ნაკრებში შედის ამ შეჯიბრებაში 1964 წელს გამარჯვებული ლ. სობკო.

ანჟერი, 29 ივნისი. 10 მილიონამდე კაცი — საფრანგეთის მოსახლეობის ერთი მეხუთედი — გახდება მოწმე ამ ძველ ფრანგულ ქალაქში დაწყებული „ტურ დე ფრანსის“ სხვადასხვა ეტაპზე გამართული ბრძოლებისა. სტატისტიკოსების ეს გამოთვლა მართლაც საინტერესოა. მაგრამ, ცხადია, გაცილებით უფრო საინტერესოა თავად ეს შეჯიბრება — პროფესიონალ ველომრბოლელთა უდიდესი შეჯიბრება მთელ მსოფლიოში.

წლევანდელი ტურის სიგრძე 4780 კილომეტრია და 22 ეტაპად იყოფა. ევროპის რამდენიმე ქვეყნის 130 მრბოლელს გზაში მხოლოდ ორი დღე ექნება დასვენება. მონაწილეთათვის ნახევარ მილიონ ფრანკზე მეტი ღირებულების სხვადასხვა პრიზია განკუთვნილი. მათ შორის, ჯილდო... „ყველაზე უიღბლოს ეტაპზე“.

საჩოგბურთო ორთაბრძოლის 4 საათი

ლონდონი, 29 ივნისი. საბჭოთა ჩოგბურთელი ვაჟებიდან მხოლოდ ბაქოელი ს. ლიხაჩოვი განაგრძობს უიმბლდონის ტურნირის საპატიო კვარცხლბეკისკენ მიმავალ რთულ გზას. მეორე წრეში მან დაამარცხა საფრანგეთის წარმომადგენელი ჟ.-ბ. შანფრო — 6:4, 6:4, 6:3.

სსრ კავშირის ექს-ჩემპიონმა თ. ლეიუსმა მძიმე ბრძოლა გადაიტანა ავსტრალიელ ბ. ბოურეიასთან. ეს საინტერესო მატჩი ორსაათნახევარს გაგრძელდა, მაგრამ ორი პარტიის შემდეგ ლეიუსს აშკარა დაღლილობა დაეტყო და საბოლოოდ დამარცხდა — 6:4, 11:13, 2:6, 2:6.

საბჭოთა ჩოგბურთელ ქალებს უკეთესად აქვთ საქმე: ჩემპიონმა გ. ბაკშეევამ და ექს-ჩემპიონმა ა. დმიტრიევამ კიდევ თითო გამარჯვება ჩაიწერეს თავიანთ აქტივში. ბაკშეევამ მოუგო ჯ. ფორბსს (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)—6:1, 6:2, ხოლო დმიტრიევამ — იტალიელ ფ. გორდიჯიანის — 6:2, 6:2.

სტარტი აიღეს ვაჟთა წყვილებმა. ვ. კოროტკოვმა და ლეიუსმა უჭწვავეს „შეტაკებაში“ სძლიეს ინტერნაციონალურ დუეტს: ტ. ჰენსა (ინგლისი) და ჯ. მაკდონალდს (ახალი ზელანდია) — 6:8, 7:9, 7:5, 9:7, 6:3.

ლიხაჩოვისა და ა. მეტრეველის წყვილი ეთამაშა დანიელებს ი. ლეშლისა და ი. ულრიჰს. ოთხი პარტიის შემდეგ დაბინდდა და მატჩი შეწყდა. ჩვენებმა მოიგეს პირველი და მესამე პარტიები. ჯერჯერობით ანგარიშია 11:9, 4:6, 10:8 და 10:12...

როგორც ცნობილია, ბალახის კორტებზე მსოფლიოს ამ არაოფიციალურ ჩემპიონატში ჩვენი პლანეტის ყველა საუკეთესო ჩოგბურთელმა აიღო სტარტი. ჯერჯერობით ყველაზე მძაფრი გამოდგა 20 წლის ამერიკელის კ. რიჩისა და ავსტრალიის „მესამე ჩოგნის“ ტ. როჩის ორთაბრძოლა. მეტოქეებმა 4 საათი დაჰყვეს მოედანზე და ამ ხნის განმავლობაში 89 გეიმი ითამაშეს. გაიმარჯვა რიჩიმ — 3:6, 3:6, 19:17, 14:12, 6:3.

მესამე წრეში გაიმარჯვეს ს. ლიხაჩოვმა და გ. ბაკშეევამ

ლონდონი, 30 ივნისი. უიმბლდონის ტურნირის III წრეში კვლავ გაიმარჯვა ლიხაჩოვმა: ამჯერად მან მოუგო ავსტრალიელ ბ. კროლს — 10:8, 6:4, 6:2. ბაქოელი შევიდა საუკეთესო ჩოგბურთელთა თექვსმეტეულში და პირველობისთვის გააგრძელებს ბრძოლას. პრეტენდენტთა შორის არიან 5 ავსტრალიელი, 2-2 ამერიკელი, ინგლისელი და დასავლეთგერმანელი, აგრეთვე სსრ კავშირის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, იუგოსლავიისა და რუმინეთის თითო სპორტსმენი.

იმავე დღეს ლიხაჩოვმა მეტრეველთან ერთად წააგო წყვილთა ასპარეზობა ლეშლისთან და ულრიჰთან. შეწყვეტილი მატჩის განახლებისას ჩვენებმა წააგეს მეხუთე პარტია — 4:6.

დაიწყო მესამე წრე ქალთათვისაც. კვლავ წარმატებით გამოვიდა ბაკშეევა. მან მოუგო ჰოლანდიელ ტ. გრემანს — 6:3, 6:4.

ახალი ამბები

ფეხბურთის მინდვრებზე

0:0

ოსლო, 30 ივნისი. ევროპის ჩემპიონატის საპასუხო შესარჩევი მატჩი ნორვეგიისა და ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ — 0:0 მიუხედავად ამისა, მაყურებელი მოწყენილი როდი იყო. მე-13 წუთზე ბურთი ბულგარელთა კარში აღმოჩნდა, მაგრამ არბიტრმა ადაირმა (ჩრდილოეთ ირლანდია) თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. 2 წუთის შემდეგ ნორვეგიელი თავდამსხმელის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. სტუმრებმა კარის აღების რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. მათგან გამოირჩეოდნენ ორივე გარემარბი და მცველი შალამანოვი, რომელიც მატჩის ბოლოს სერიოზულად დაშავდა. ნორვეგიელთა მეგობრულმა კოლექტივმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ბულგარელებმა უსაპარუხოდ თამაში ვერ ააწყვეს. როგორც ცნობილია, ამ გუნდების პირველი მატჩი სოფიაში ბულგარელთა გამარჯვებით დამთავრდა — 4:2.

3:1

რომი, 30 ივნისი. სახელგანთქმულმა პელემ არც ბრაზილიის „სანტოსისა“ და იტალიის „რომას“ მატჩში დატოვა მინდორი ისე, რომ ბურთი არ გაეტანა. 35 ათასი მაყურებელი ბრაზილიელთა გამარჯვების მოწმე გახდა — 3:1. სტუმართაგან გოლების ავტორები არიან ტონინიო, პელე და რილდო.

იევლევაც — პირველი...

გლივიცე, 30 ივნისი. მძლეოსან ქალთა საერთაშორისო ასპარეზობაში, რომელშიც პოლონელი და საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობდნენ, ბირთვის კვრაში უძლიერესნი იყვნენ ლენინგრადელები ნ. ჩიჟოვა და გ. ზიბინა (17,25 და 15, 88 მ). მოსკოველმა ტ. ჩენჩიკმა მოიგო სიმაღლეზე ხტომა — 170 სმ, ხოლო თბილისელმა ლ. იევლევამ 80 მეტრზე თარჯრბენი — 10,9.

როგორც ცნობილია, ამ ქვეყნების ნაკრები გუნდები სამატჩო შეხვედრას გამართავენ ხვალ, 1 ივლისს, ხოჟუვში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორატი აცნობებს დაუსწრებელი და საღამოს სწავლების განყოფილებებზე შემსვლელ პირებს, რომ ამ განყოფილებებზე მიიღებიან მხოლოდ ისინი, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟი ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში.

რექტორატი.

ИНДЕКС 66418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 4 უე 03293